ოჯახების სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების ძველი (2010 წელს დანერგილი) და ახალი (2014 წელს დანერგილი) მეთოდოლოგიების შედარება და განხორციელებული ცვლილებები

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

31 მაისი 2019 წ.

საქართველოს პარლამენტი

- 2015 წელს შემუშავდა სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების ახალი მეთოდოლოგია, რომლის ძირითადი მიზნები იყო:

- ძველ მეთოდოლოგიაში მონაწილე ცვლადების გარკვეული ნაწილი მოძველდა, დაკარგა მნიშვნელობა რამაც გამოიწვია მეთოდოლოგიის სიზუსტის შემცირება.
- ადმინისტრირების გამარტივება და გამჭირვალეობა.
- მეთოდოლოგიაში მონაწილე სუბიექტური ცვლადების შემცირება.

მეთოდოლოგიიდან მოძველებული ცვლადების ამოღება

- ძველ მეთოდოლოგიაში მონაწილეობდა ისეთი ცვლადები როგორიც არის (ტელევიზორი, გაზქურა, მობილური ტელეფონი, მუსიკალური ცენტრი, ტოსტერი, პერსონალური კომპიუტერი, კონდენციონერი და ა.შ.), რომელიც მეთოდოლოგიის შექმნის მომენტისათვის (2010 წელი) იძლეობდა საშუალებას განესხვავებინა სხვადასხვა შესაძლებლობის მქონე ოჯახები ერთმანეთისაგან. დღეს კი მათი უმეტესობა წარმოადგენს ისეთ ნივთს რომელიც თითქმის ყველა ოჯახში გვხდება და აღარ წარმოადგენს ოჯახების ერთმანეთთან შედარების ზუსტ საშუალებას.
- მეთოდოლოგიაში მოხდა ისეთი ცვლადების დატოვება რომლებიც პოტენციურად შემოსავლის წყარო შეიძლება ყოფილიყო. როგორიცაა შინამეურნეობის საკუთრებაში არსებული მიწა, უძრავი ქონება, ავტო სატრანსპორტო საშუალება და ა.შ.

ადმინისტრირების გამარტივება და გამჭირვალეობა

დღეს მოქმედ მეთოდოლოგიაში ცვლადების უმეტესი ნაწილი ავტომატურ რეჟიმში ივსება/მოწმდება სხვადასხვა მონაცემთა ბაზების საშუალებით, როგორიც არის უძრავი ქონება, ავტო სატრანსპორტო საშუალება, შემოსავალი, კომუნალური ხარჯი და ა.შ. რამაც არა მარტო გაამარტივა ადმინისტრირების პროცესი, არამედ გახადა უფრო გამჭირვალე და ნაკლებად სუბიექტური.

მეთოდოლოგიაში მონაწილე სუბიექტური ცვლადების შემცირება

ახალ მეთოდოლოგიაში მოხდა ისეთი ცვლადების საერთოდ გაქრობა რომელიც სრულად დამოკიდებული იყო სოციალური მომსახურების სააგენტოს თანამშრომლის (სოციალური აგენტის) სუბიექტურ შეხედულებაზე. მის დაკვირვებულობაზე და ბენეფიციარის კეთილსინდისიერებაზე. აქედან გამომდინარე მეთოდოლოგიიდან იქნა ამოღებული ისეთი ცვლადები როგორიც არის სოციალური აგენტის მიერ ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის სუბიექტური შეფასება, შამპუნი, კბილის პასტა, სარეცხი საპონი/ფხვნილი, წურჭლის სარეცხი საშუალებები, ოჯახის წევრთა ჩაცმულობა, გარეგნული ჰიგიენა და სხვა. ყოველივე ამან მეთოდოლოგია გახადა უფრო გამჭირვალე და ობიექტური.

ძველი და ახალი მეთოდოლოგიის შედარება

ძველი მეთოდოლოგია	ახალი მეთოდოლოგია
მეთოდოლოგიაში ცვლადების / პარამეტრების რაოდენობა იყო 80 ზე მეტი	მეთოდოლოგიაში ცვლადების/პარამეტრების რაოდენობა არის 50 ზე ნაკლები
მეთოდოლოგიაში მონაწილე მონაცემების შეგროვება ხდებოდა ხელით სოციალური აგენტის მიერ	მონაცემების შეგროვება ხდება ელექტრონულად / ავტომატურად. გაფორმებული ხელშეკრუბებების შესაბამისად (შემოსავლების სამსახური, საჯარო რეესტრი, შინაგან საქმეთა სამინისტრო, ელექტრო ენერგიის და ბუნებრივი აირის გამანაწილებელი (ლიცენზიანტი) კომპანიები
დახმარების მიმღები ყველა ოჯახი მიუხედავად ქულისა (ზღვრულ ქულამდე) იღებდა ერთი ოდენობის დამხარებას	ამჟამად ოჯახებს რაც უფრო ნაკლები ქულა აქვთ (რაც უფრო მეტად უჭირთ) იღებენ უფრო მეტი ოდენობის დახმარებას
ზოგადი სიღარიბის ქვემოთ მყოფი ოჯახების პროგრამაში ჩართვის შეცდომა იყო 5.1 პროცენტი	ზოგადი სიღარიბის ქვემოთ მყოფი ოჯახების პროგრამაში ჩართვის შეცდომა შემცირდა 2.7 პროცენტამდე
ძველი მეთოდოლოგია ფარავდა უღარიბესი მოსახლეობის მხოლოდ 67 პროცენტს	ახალი მეთოდოლოგით უღარიბესი მოსახლეობის დაფარვა გაიზარდა 80 პროცენტამდე

ახალ მეთოდოლოგიაში განხორციელებული ცვლილებები

იმის გამო რომ ძველი მეთოდოლოგიის დანერგვის დროს (2010 წელი) საარსებო მინიმუმი შეადგენდა 135 ლარს, ხოლო სახელმწიფო პენსია - 80 ლარს (პენსია გაცილებით ნაკლები იყო საარსებო მინიმუმზე) პენსიონრები უფრო მეტად (დიდი ალბათობით) ერთვებოდნენ დახმარების პროგრამაში.

ახალი მეთოდოლოგიის დანერგვის დროს (2014 წელი) საარსებო მინიმუმი შეადგენდა 150 ლარს ასევე სახელმწიფო პენსიაც შეადგენდა 150 ლარს, (პენსია გაუთანაბრდა საარსებო მინიმუმს) შესაბამისად პენსიონრებს გაუჭირდათ პროგრამაში ჩართვა. მეთოდოლოგიის ცვლილების შემდეგ მარტოხელა პენსიონერთა დიდმა ნაწილმა (50 % -მდე) დაკარგა საარსებო შემწეობის მიღების უფლება. საჭიროებიდან გამომდინარე მოხდა მარტოხელა პენსიონერთა საჭიროების კოეფიციენტის გადახედვა/გაზრდა რის შედეგადაც მარტოხელა პენსიონერთა დიდი ნაწილი (85 % მდე) დაბრუნდა უკან სისტემაში.

ახალ მეთოდოლოგიაში განხორციელებული ცვლილებები

ახალი მეთოდოლოგიის დანერგვისას გადაიხედა ოჯახების საჭიროების შეფასება, საიდანაც გამოიკვეთა მეთოდოლოგიაში ბავშვების საჭიროების კოეფიციენტის გაზრდის აუცილებლობა. შესაბამისად პროგრამაში გაიზარდა დახმარების მიმღები ბავშვების რაოდენობა.

ასევე ბავშვებში სიღარიბის დონის შესამცირებლად, დამატებით გაჩნდა ბავშვის დანამატი, რომელიც 2019 წლამდე შეადგენდა 10 ლარს (თითო 16 წლამდე ბავშვზე), ხოლო 2019 წლიდან გაიზარდა 50 ლარამდე.

ახალ მეთოდოლოგიაში განხორციელებული ცვლილებები

მეთოდოლოგიაში ერთერთი მნიშვნელოვანი ცვლადია ოჯახის მიერ კომუნალურ გადასახადებისთვის გადახდილი თანხა. გამომდინარე იქიდან რომ ელექტრო ენერგიის და ბუნებრივი აირის ტარიფი გაიზარდა, ოჯახებს იგივე მოხმარების პირობებში უწევდათ უფრო მეტი თანხის გადახდა. რაც რიგ შემთხვევებში იწვევდა მათთვის დახმარების დაკარგვას ან დახმარების ოდენობის შემცირებას. ყოველივე ამის თავიდან ასაცილებლად მოხდა მეთოდოლოგიაში კომუნალური ცვლადის კოეფიციენტის შემცირება, რათა ოჯახები დახმარების დაკარგვის საშიშროების წინაშე არ დამდგარიყვნენ.

ახალ მეთოდოლოგიაში განხორციელებული ცვლილებები

- მეთოდოლოგიის ამოქმედებიდან (2014 წლიდან) საარსებო მინიმუმი მნიშვნელოვნად გაიზარდა (150 ლარიდან 175 ლარამდე), მოხდა მეთოდოლოგიაშიც აღნიშნული ცვლილების ასახვა რათა უფრო რეალურად მომხდარიყო ოჯახების შეფასება.
- იმ შემთხვევაში როდესაც ოჯახში გარდაიცვლებოდა წევრი ოჯახის ხელახალი (ამ წევრის გარეშე) გადამოწმების და ხელახალა საარსებო შემწეობის მიღებამდე ოჯახს უჩერდებოდა (2-3 თვე) საარსებო შემწეობის მიღების უფლება. განხორციელებული ცვლილების შედეგად ოჯახს გადამოწმების პერიოდში აღარ უჩერდება საარსებო შემწეობა.

ახალ მეთოდოლოგიაში განხორციელებული ცვლილებები

2019 წლიდან განხორციელებული ცვლილებით თუ ოჯახი არის საარსებო შემწეობის მიმღები და ოჯახის წევრ(ებ)ი დასაქმდება ან მნიშვნელოვნად გაეზრდება შემოსავალი, 1 წლის განმალობაში აღარ უჩერდება/უწყდება საარსებო შემწეობა, ხოლო 2 წლის განმალობაში აღარ უწყდება ბავშვის დანამატი (თითოეულ ბავშვზე 50 ლარი) და სხვა სოციალური დახმარებები რომლებიც დამოკიდებულია ამ მეთოდოლოგიაზე.

საარსებო შემწეობის მიმღებ ბენეფიციართა შედარება ძველი და ახალი მეთოდოლოგიის დროს

ბენეფიციართა კატეგორია	2014 დეკემბერი	2019 მაისი
საარსებო შემწეობის მიმღებები პირების რაოდენობა	421 000	467 000
საარსებო შემწეობის მიმღებთა პროცენტული წილი მთელ მოსახლეობაში	11,3	12,5
საარსებოს შემწეობის მიმღებთა პროცენტული წილი ბაზაში რეგისტრირებულთან	25,9	48,8
საარსებო შემწეობის მიმღები პენსიონერთა რაოდენობა	97 000	80 000
საარსებო შემწეობის მიმღებ პენსიონერთა პროცენტული წილი მთელ პენსიონერებში	12,3	9,2
საარსებო შემწეობის მიმღებ პენსიონერთა პროცენტული წილი მთელ საარსებო შემწეობის მიმღებებში	23,0	17,1
საარსებო შემწეობის მიმღები ბავშვთა რაოდენობა	108 000	157 000
საარსებო შემწეობის მიმღები ბავშვთა პროცენტული წილი მთელ ბავშვებში	11,1	15,7
საარსებო შემწეობის მიმღები ბავშვთა პროცენტული წილი მთელ საარსებო შემწეობის მიმღებებში	25,6	33,6

გმადლობთ ყურადღებისათვის !

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის სამინისტრო